



## ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID - 19) დაკავშირებული რეკომენდაციები – ავტომომსახურება

### ძირითადი რეკომენდაციები:

- ავტომომსახურების ობიექტის ადმინისტრაციამ, მის ტერიტორიაზე უნდა აკონტროლოს მომხმარებელთა ნაკადურობა და უსაფრთხო დისტანცია;
- მომსახურების მიღებისას რეკომენდირებულია მომხმარებელმა მიმართოს ავტოსერვისის მიმწოდებელ კომპანიას/პირს და შეათანხმოს მომსახურების დრო, რიგების თავიდან აცილებისა და მომსახურების დროულად და ეფექტურად მიღების მიზნით;
- ასეთის არსებობის შემთხვევაში დათქმულ დროსა და ადგილას მომხმარებელი გამოცხადდება ავტომომსახურების მიღების ადგილზე და გადააბარებს თავის ავტომანქანას მომსახურე პერსონალს იმგვარად, რომ მომხმარებელსა და პერსონალს შორის ურთიერთობისას არ დაირღვეს 2-მეტრიანი დისტანცია;
- ავტომობილის შეკეთების შემდეგ, მომსახურე პერსონალი უკავშირდება ავტომანქანის მფლობელს და განუსაზღვრავს დროს ავტომანქანის გადასაცემად;
- ავტომანქანის უკან გადაცემა ხდება იმავე წესით, რაც განსაზღვრულია ავტომანქანის ჩაბარებისთვის;
- იმ შემთხვევაში, თუ ვერ ხერხდება ვიზიტის წინასწარ შეთანხმება, სავალდებულოა მომხმარებელსა და პერსონალს შორის ურთიერთობისას 2-მეტრიანი დისტანციის დაცვა და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენება (ასეთ დროს მაქსიმალურად უნდა შეიზღუდოს ავტომომსახურების გამწვევი ობიექტის შიდა სივრცეში მომხმარებლის დაშვება).

### პერსონალის/მესამე პირების დაცვა სამუშაო სივრცეში უნდა განხორციელდეს შემდეგი წესით:

- სამუშაო ადგილზე ხელის პერიოდული დამუშავებისთვის განთავსებული უნდა იყოს 70%-იანი ალკოჰოლის შემცველი ხელის ანტისეპტიკური ხსნარები;
- პერიოდულად, დღეში რამდენჯერმე (3-საათიანი ინტერვალით), უნდა ხდებოდეს სამუშაო სივრცეების/სათავსების ბუნებრივი ვენტილაცია (დახურული შენობის შემთხვევაში);
- ყველა დასაქმებულს და კონტრაქტორს, დასუფთავებაზე პასუხისმგებელ პერსონალს, უნდა მიეწოდოს ინფორმაცია უსაფრთხო მუშაობის პროცედურებისა და COVID-19 ვირუსის გავრცელების პრევენციის შესახებ;
- დასაქმებულები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ ხელის დაბანის გამართული საშუალებებით (ხელსაბანი ნიჟარა და თხევადი საპონი) და სხვა საჭირო დასამუშავებელი (სამუშაო სპეციფიკის მიხედვით) საშუალებებით;
- უნდა განთავსდეს ყველასათვის თვალსაჩინო ადგილას ორგანიზაციის მიერ გასატარებელი პრევენციული ღონისძიებების გეგმა;
- უნდა განთავსდეს ჰიგიენური საშუალებებით დაცვის ღონისძიებების შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია სათანადო ადგილას, მათ შორის, ხელის დაბანის, ნიღბის მორგების, ტარების და მოცილების წესები;
- დამსაქმებელმა სამუშაო სივრცეში უნდა აკონტროლოს დასაქმებულთა რაოდენობა – ერთობლივად არაუმეტეს 3 ადამიანისა ერთ სივრცეში (ყოველი დამატებითი ადამიანის დაშვება შესაძლებელია თითოეულ ადამიანზე დამატებით 5მ<sup>2</sup> ფართის შემთხვევაში);
- იქ, სადაც დასაქმებულებს მომხმარებლებთან უწევს ურთიერთობა (მომსახურებისთვის თანხის გადახდა) დამონტაჟდეს კოლექტიური დაცვის საშუალება, დამცავი გამჭვირვალე ბარიერები – თანამშრომლების მესამე პირებთან ურთიერთობის შემთხვევაში.

- დაიცავით თანამშრომლები ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით და არ დაუშვათ სამუშაო სივრცეში პირი, რომელიც არ არის აღჭურვილი სათანადო ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით. სავალდებულოა წილების ტარება;
- დაიცავით დისტანცია (მინიმუმ 2 მეტრი) დასაქმებულებს შორის;
- უზრუნველყავით დასაქმებულთა/ვიზიტორთა მიერ გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცებისა თუ სხვა გამოყენებული ჰიგიენური ნარჩენებისთვის დახურული კონტეინერების განთავსება, რომელშიც ჩაფენილი იქნება ერთჯერადი პლასტიკური პაკეტი. ნარჩენების პარკის ამოღება და განკარგვა მოახდინეთ ერთჯერადი ხელთათმანების გამოყენებით. უზრუნველყავით ასეთი ნარჩენების დროული გატანა შესაბამისი პირის/სამსახურის მიერ.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:

 15 05

 116 001

**StopCoV.ge**

**1505**

**116 001**